



საბოლოო ანგარიში

ინდივიდუალური ადგილობრივი ექსპერტების, ტრენერებისა და სასოფლო-სამეურნეო პროგრამების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების ერთიანი ბაზის შექმნა და განახლება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს გაძლიერების პროგრამა

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის
განვითარებისთვის (ENPARD)

Europe Aid/136454/DH/SER/GE

პროექტის განმახორციელებლები



ექსპერტი

ილია
კვიციანი

დისკლამაცია

„ანგარიში მოზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. შეხედულებები, რომლებიც ამ ანგარიშში არის გამოხატული ეკუთვნის კონსულტანტებს და არ გამოხატავს ევროკომისიის შეხედულებებს“

კომენტარები ანგარიშის შესახებ	3
წინასიტყვაობა	4
მონაცემთა ბაზის შექმნა	6
დაინტერესებული მხარეებისგან განაცხადების მიღების პროცესის აღწერა	9
დანართი 1	12
სამუშაო აღწერილობა მოკლევადიანი ექსპერტისთვის	
დანართი 2	16
განცხადება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით ინტერესის გამოხატვაზე	
დანართი 3	18
აპლიკაციის ფორმა ინდივიდუალური კონსულტანტისთვის	
დანართი 4	19
აპლიკაციის ფორმა ორგანიზაციებისათვის	
დანართი 5	21
შეფასების ფორმა ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის	
დანართი 6	22
შეფასების ფორმა ორგანიზაციებისათვის	
დანართი 7	23
დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების სია	
დანართი 8	25
ინდივიდუალურ აპლიკანტთა მონაცემები	
დანართი 9	26
საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურები	
დანართი 10	27
ინტერესის გამოხატველი აპლიკაციების მიღების შედეგების შეფასების კვარტარული ანგარიშის ფორმა	
დანართი 11	28
ექვსი თვის შემაფასებელი საინფორმაციო ბიულეტენის ფორმა	

კომენტარები ანგარიშის შესახებ

1. სააგენტოს რეკომენდაციით, ვაკანსიის შესახებ განცხადების სამუშაო ვერსიაში (დანართი 2), უნდა შეიცვალოს ტრენინგის/ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნის არსებული ფორმულირება; კერძოდ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლის საფუძვლები“ უნდა შეიცვალოს შემდეგი წინადადებით: „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შიდა სამართლებრივი და სამეურნეო ურთიერთობები“;
2. სააგენტოს რეკომენდაციით, ვაკანსიის შესახებ განცხადების სამუშაო ვერსიაში (დანართი 2) განსაზღვრულ ტრენინგის/ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა დაემატოს წინადადება, კერძოდ: მოთხოვნას - „კოოპერატივების ძირითადი პრინციპებისა და კოოპერაციის თეორიის ცოდნა“ უნდა დაემატოს - „და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან მუშაობის გამოცდილება“;
3. პროექტმა გაითვალისწინა ევროკავშირის წარმომადგენლის რეკომენდაცია, აპლიკანტი ტრენინგების/ექსპერტების შერჩევის ზუსტი კრიტერიუმების შემუშავებასა და შესარჩევი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც მან წარმოადგინა ENPARD/სააგენტოს ყოველთვიურ საკოორდინაციო შეხვედრაზე (5 თებერვალი, 2016 წ.); შესაბამისად, პროექტმა: ა) შექმნა აპლიკანტ ტრენინგთა/ექსპერტთა შესარჩევი კომისია, რომელის შემადგენლობაშიც შევლენ პროექტის 2 წარმომადგენელი, სააგენტოს 1 წარმომადგენელი და მოწვეული ექსპერტი; ბ) ვაკანსიის შესახებ განცხადების სამუშაო ვერსიაში (დანართი 2) წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მისცა უფრო კონკრეტული ფორმულირება; და გ) შეიმუშავა აპლიკანტი კანდიდატების სრულყოფილი შეფასების ცხრილი (ექსელის ფორმატში) (მოდულიცირებული შეფასების ცხრილი შევა ვაკანსიის შესახებ განცხადების პაკეტში, რომელიც ცალკე წარედგინება ევროკავშირის დასამტკიცებლად);
4. სააგენტომ განიხილა შეფასების ცხრილი და პროექტის მიერ მოდიფიცირებული ვაკანსიის შესახებ განცხადების სამუშაო ვერსია და წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაციები:
 - ა) „ბაკალავრის ხარისხის“ ნაცვლად საკვალიფიკაციო მოთხოვნაში დაიწეროს „უმაღლესი განათლება“;
 - ბ) პროფესიული გამოცდილების ნაწილში მოთხოვნილი, ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებული წლების რაოდენობა შემცირდეს 3-დან 1 წლამდე;
 - გ) გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ცოდნასა და კოოპერატივებთან მუშაობის გამოცდილებასთან დაკავშირებული ქულა (შეფასების ცხრილში განსაზღვრული 15 %-დან ზევით);

(მოდულიზირებული შეფასების ცხრილი შევა ვაკანსიის შესახებ განცხადების პაკეტში, რომელიც ცალკე წარედგინება ევროკავშირს დასამტკიცებლად);

- 5. პროექტი სააპლიკაციო ფორმებიდან (დანართი 3 & 4) ამოიღებს „გენდერის“ მითითებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას.**

წინასიტყვაობა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა“ (ENPARD), რომელიც დაიწყო 2013 წელს და რომლის ხანგრძლივობაც 4 წელია, მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდასა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირებას.

აღნიშნულის მისაღწევად პროექტი მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დახმარებას, ფერმერთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ პროცესში ქალთა აქტიურ მონაწილეობასა და ლიდერობას.

ევროკომისიის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პოტენციალის განვითარება“-ის პროექტის ძირითადი მიზნებია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური პოტენციალის და პერსონალის უნარების გაძლიერება, რეგისტრირებული კოოპერატივების მენეჯერებისა და ხელმძღვანელებისთვის ტრენინგის მუდმივი პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია, რეგისტრირებულ კოოპერატივებში მენეჯმენტის პოტენციალის გაძლიერება და სათანადო მმართველობის უზრუნველყოფა, კოოპერატივების წევრებს შორის კოოპერატიული საწარმოს არსისა და მიზნების გაგების გაუმჯობესება. პროექტის საქმიანობა მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

ამ დავალების ძირითადი მიზანია ინდივიდუალური ექსპერტების, პროფესიონალი ტრენერების, იმ უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო კუთხით შესაბამისი ფაკულტეტები და პროგრამები, ერთიან მონაცემთა ბაზაში მოქცევა.

ბაზის შექმნისა და მისი მუდმივი განახლების მთავარი მიზანია ადგილობრივ ექსპერტთა სრული იდენტიფიცირება, მონაცემების შეკრება და ერთ სისტემაში მობილიზება.

დავალებით გათვალისწინებულია შემდეგი საქმიანობები და აქტივობები:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს არსებული ბაზის ანალიზი და მისი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.
- ინდივიდუალურ მონაცემთა ნუსხის შექმნა და მისი შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით.
- აპლიკაციის ფორმების შემუშავება და განცხადების გავრცელებასა და მისი მიღების პროცედურებთან დაკავშირებული აქტივობების შემუშავება. ამ

პროცესის განხილვა/შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან.

- კონსულტაციების გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან და ახალი მონაცემთა ბაზის ტესტირება იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ მის ეფექტურ მუშაობაში და რომ ეს მონაცემთა ბაზა პასუხობს კლიენტის მოთხოვნებს.

აღნიშნული დავალება განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, რათა უზრუნველყოფილიყო მათი ინფორმირებულობა და ჩართულობა შემუშავებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე.

დავალების ფარგლებში ახალი მონაცემთა ბაზა შემუშავდა Excel ფორმატში.

იმისთვის, რომ ინფორმაცია ყოფილიყო წარმოდგენილი რაც შეიძლება მეტ პოტენციურ სერვის მომწოდებელზე, მოპოვებული იქნა როგორც პირველადი, ასევე მეორეული ინფორმაცია შესაძლო კანდიდატებზე. ასევე, დამუშავდა ინდივიდუალურ კანდიდატთა მონაცემების ფორმები.

ამჟამად, ბაზა მოიცავს მონაცემებს დაახლოებით 200-მდე სერვის მომწოდებელზე, მათ შორის:

- სასწავლო დაწესებულებები, უნივერსიტეტები, პროფესიული სასწავლებლები, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო კუთხით შესაბამისი ფაკულტეტები/სასწავლო პროგრამები
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ჩართულნი არიან ENPARD-ის ფარგლებში „კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“-ის განხორციელებაში
- არასამთავრობოები და საკონსულტაციო კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის/ტრენინგების გამოცდილება
- ინდივიდუალური კონსულტანტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება

იმისთვის, რომ ბაზა მოიცავდეს ყველა შესაძლო სერვის მომწოდებელს, პროექტი გამოაცხადებს აპლიკაციების მიღებას ყველა პოტენციური სერვის მომწოდებლისაგან - როგორც ინდივიდუალური კონსულტანტებისგან, ასევე ორგანიზაციებისგან.

შერჩეული აპლიკანტების მონაცემები შეტანილი იქნება პოტენციურ ტრენინგ მომწოდებელთა სიაში, რომლებმაც შემდგომში შესაძლოა ტრენინგები ჩაუტარონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

შემუშავდა განაცხადის ფორმის პირველადი ვერსია, რომლის თანახმადაც, დაინტერესების შემთხვევაში, განმცხადებელს მოეთხოვება, გამოაგზავნოს კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. კანდიდატები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მონაწილის პროფესიული ცოდნა
- შესაბამისი გამოცდილება (აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, მსგავს პროექტებში/ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ)
- კოოპერატივების ძირითადი პრინციპებისა და კოოპერაციის თეორიის ცოდნა
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა

შემუშავებულ იქნა ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის დეტალური შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და ქულათა მინიჭების სისტემა.

მონაცემთა ბაზის შექმნა

იმისთვის, რომ შესწავლილი ყოფილიყო ექსპერტთა მონაცემთა ბაზის არსებობა/ფუნქციონირება, ჩატარდა შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებთან, რათა გარკვეულიყო ექსპერტთა მონაცემთა ბაზის არსებობის და მისი ფუნქციონირების საკითხები. შეხვედრებმა ცხადყო, რომ ამჟამად მსგავსი ტიპის მონაცემთა ბაზა არ არსებობს. ინფორმაცია არსებული ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური კონსულტანტების შესახებ გააჩნიათ სააგენტოს სხვადასხვა თანამშრომლებს, რაც დაფუძნებულია მათ კერძო კონტაქტებზე და არსებულ გამოცდილებაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ უნდა შეიქმნას ახალი ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს პროექტის მოთხოვნილებებს.

ბაზის ძირითადი მახასიათებლები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან შეთანხმებით, ბაზის შექმნა გადაწყდა Excel - ფორმატში.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მოხდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

პირველ რიგში, Excel არის ყველაზე მარტივი და ხშირად გამოყენებადი პროგრამა მომუშავე გუნდისთვის, აქედან გამომდინარე ადვილად იქნება შესაძლებელი ბაზის მართვა და განახლება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს თავისი და თავის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულებისათვის ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნას. Excel-ის ფორმატიდან მონაცემების კონვერტირება ადვილად მოხდება ნებისმიერ ფორმატში, რომელიც შერჩეული იქნება სამინისტროს მიერ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის რჩევით, ბაზას უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი ველი, რათა მოხდეს მონაცემთა მაქსიმალურად ჩაშლა. მართალია, ამ შემთხვევაში ბაზის შექმნასა და განახლებას უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ ბაზის ფუნქციონირება და მონაცემების მოძიება ბევრად უფრო გამარტივდება.

მეთოდოლოგია - იმისთვის, რომ ინფორმაცია ყოფილიყო წარმოდგენილი რაც შეიძლება მეტ პოტენციურ სერვის მომწოდებელზე, მოპოვებული და გაანალიზებული იქნა შესაძლო კანდიდატების შესახებ პირველადი და მეორეული ინფორმაცია.

ასევე, შემუშავდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოსთან განხილულ იქნა ინდივიდუალური მონაცემების ფორმები. აღნიშნული ფორმები შეივსო არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამჟამად, ბაზა მოიცავს მონაცემებს დაახლოებით 200-მდე სერვის მომწოდებელზე, მათ შორის:

- სასწავლო დაწესებულებები, უნივერსიტეტები, პროფესიული სასწავლებლები, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო კუთხით შესაბამისი ფაკულტეტები/სასწავლო პროგრამები
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ჩართულნი არიან ENPARD-ის ფარგლებში „კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“-ის განხორციელებაში
- არასამთავრობოები და საკონსულტაციო კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის/ტრენინგების გამოცდილება
- ინდივიდუალური კონსულტანტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება

ბაზის სტრუქტურა - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან, ხელმძღვანელის მოადგილესთან, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან ჩატარდა რამდენიმე ნაყოფიერი შეხვედრა.

შეხვედრების დროს განხილულ იქნა მონაცემთა ბაზის ტექნიკური დეტალები და ინდივიდუალურ მონაცემთა ფორმის ნიმუში. შეთანხმდა, რომ ბაზა მოიცავს ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ კონსულტანტებს, რომლებსაც შეუძლიათ ტრენინგების ჩატარება ამჟამად საჭირო ხუთი მიმართულებით, როგორცაა :

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მართვა
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლის საფუძვლები
4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის მართვის საფუძვლები
5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარკეტინგი/ბრენდირება

არსებული ნუსხა შეიძლება გაფართოვდეს ნებისმიერ დროს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად.

შეხვედრების დროს განიხილა და შეთანხმდა ინდივიდუალურ მონაცემთა ფორმის ნიმუში:

1. სახელი
2. ორგანიზაციული ფორმა
 - ა) ინდივიდუალური კონსულტანტი
 - ბ) ორგანიზაცია
3. საკონტაქტო ინფორმაცია
 - ა) სახელი
 - ბ) გვარი
 - გ) ელ-ფოსტა
 - დ) ტელეფონი
 - ე) მობილური
4. რეგიონი
5. გამოცდილების სფეროები
 - ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები
 - ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსები
 - გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლის საფუძვლები
 - დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის მართვის საფუძვლები
 - ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარკეტინგი/ზრუნდირება

დაინტერესებული მხარეებისგან განაცხადების მიღების პროცესის აღწერა

იმისთვის, რომ პროექტში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა კვალიფიციურმა სერვის მომწოდებელმა, პროექტი გამოაცხადებს კანდიდატების განაცხადების მიღებას როგორც ინდივიდუალური აპლიკანტებისგან, ასევე ორგანიზაციებისაგან.

შერჩეული ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური კონსულტანტების მონაცემები შეტანილი იქნება პოტენციურ ტრენინგ მომწოდებელთა მონაცემთა ბაზაში, რათა შემდგომში წარმატებულმა აპლიკანტებმა მონაწილეობა მიიღონ ტრენინგების ჩასატარებლად გამოცხადებულ ტენდერებში.

მოხდება მიღებული აპლიკაციის ფორმების განხილვა, შეფასება და შერჩევა. აღნიშნული პროცესის მიზანია, რომ შეფასდეს აპლიკანტების ტექნიკური შესაძლებლობები, შესაბამისი ცონდა, გამოცდილება და კოოპერატივების შესახებ ინფორმირებულობის დონე.

შერჩეული ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ ტრენინგებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში და სასწავლო პროგრამის განმავლობაში წარმატებული მონაწილეები შეირჩევიან კოოპერატივებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად.

განაცხადის წარდგენა, მონაცემთა ერთიან ბაზაში მოხვედრა და ტრენინგების სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა არ გულისხმობს იმას, რომ ყველა მონაწილე ავტომატურად ჩაერთვება კოოპერატივების ტრენინგის ჩასატარებელ პროგრამაში.

შემუშავებული იქნა ინტერესის გამოხატვის განაცხადის ფორმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური კონსულტანტებისა და ორგანიზაციებისათვის. მიღებული განაცხადების ფორმების განხილვა და შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- მონაწილის პროფესიული ცოდნა
- შესაბამისი გამოცდილება (აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მსგავს პროექტებში/ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ)
- კოოპერატივების ძირითადი პრინციპებისა და კოოპერაციის თეორიის ცოდნა
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა

აპლიკაციის ფორმები - შემუშავდა განაცხადების ფორმები როგორც ინდივიდუალური აპლიკანტებისთვის, ასევე ორგანიზაციებისათვის და აღნიშნული დოკუმენტი განიხილა მიმღებ მხარესთან. დაინტერესებულ მხარეებს მოეთხოვებათ, რომ გამოაგზავნონ აპლიკაციის ფორმები და კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინდივიდუალურმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური პირადი მონაცემები, CV და ასევე განათლების და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი,

ორგანიზაციებმა კი - ორგანიზაციის პროფილი, ორგანიზაციის საქმიანობის აღწერილობა და მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება და შესაბამისი მიღწევები.

იმისთვის, რომ აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა პოტენციურმა კანდიდატმა, დაინტერესებული მხარეებისგან განაცხადების მიღება მოხდება მინიმუმ ორჯერ, პროექტის განხორციელების პირველი წლის განმავლობაში.

ინფორმაციის გავრცელება მოხდება ყველა შესაძლო რესურსით. განაცხადების ფორმა განთავსდება ვებ-გვერდზე www.jobs.ge, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გამოყენებად გვერდს მსგავსი ინფორმაციისთვის. განაცხადის ფორმები გაეგზავნებათ ორგანიზაციებსა და კონსულტანტებს, რომელთა მონაცემები უკვე არსებობს ბაზაში.

გარდა ამისა, ინფორმაცია იქნება განთავსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე, ასევე გამოყენებული იქნება აღნიშნულ სფეროში აქტიური არასამთავრობოებისა და პროექტის განმახორციელებლების არსებული გაერთიანებები, როგორცაა ENPARD, GAARD და სხვა.

შეფასების ფორმები - დეტალური შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ქულათა მინიჭების სისტემა შემუშავდა როგორც ორგანიზაციებისთვის, ასევე ინდივიდუალური კონსულტანტებისათვის.

ორგანიზაციებისათვის:

1. ორგანიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები
2. გუნდის შემადგენლობა
3. ორგანიზაციის საქმიანობის აღწერილობა
4. მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება

ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის:

5. საქმიანობის გამოცდილება
6. მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება
7. შესაბამისი განათლება
8. სოფლის მეურნეობის სფეროს ცოდნა

შესარჩევი კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან, ორი წევრი პროექტიდან და ერთი წევრი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოდან.

ის სერვის მომწოდებლები, რომლებიც მიიღებენ უმაღლეს შეფასებებს, იქნებიან შეტანილნი პოტენციურ სერვის მომწოდებელთა ბაზაში, რომლებიც სამომავლოდ შესაძლოა მოწვეულნი იქნენ ტრენინგების ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

დანართი 1

სამუშაოს აღწერილობა

ინდივიდუალური ადგილობრივი ექსპერტების, ტრენერებისა და სასოფლო-სამეურნეო პროგრამების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების ერთიანი ბაზის შექმნა და განახლება.

(აქტივობა 2.1 და მოსამზადებელი აქტივობები 2.2, 2.3)

ხანგრძლივობა: 3 თვე (ნოემბერი 2015- იანვარი 2016), 20 სამუშაო დღე

პროექტის მიზნები და ამოცანები

ევროკომისიის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პოტენციალის განვითარება“-ის პროექტის ძირითადი მიზნებია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური პოტენციალის და პერსონალის უნარების გაძლიერება, რეგისტრირებული კოოპერატივების მენეჯერებისა და ხელმძღვანელებისთვის ტრენინგის მუდმივი პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია, რეგისტრირებულ კოოპერატივებში მენეჯმენტის პოტენციალის გაძლიერება და სათანადო მმართველობის უზრუნველყოფა, კოოპერატივების წევრებს შორის კოოპერატიული საწარმოს არსისა და მიზნების გაგების გაუმჯობესება. პროექტის საქმიანობა მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

ზოგადი მოვალეობები

ექსპერტი იმუშავებს როგორც ევროკავშირის ექსპერტის (გუნდის ლიდერი და ინსტიტუციონალური ექსპერტი) მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე მჭიდროდ ითანამშრომლებს პროექტის განმახორციელებელ გუნდთან და პროექტის მთავარ მიმღებთან - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან. ექსპერტი ასევე ითანამშრომლებს ევროკავშირისა და სხვა დონორების მიერ საქართველოში დაფინანსებულ პროექტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

დაკისრებული ვალდებულებები

ექსპერტი უზრუნველყოფს, 2.1. პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებულად განხორციელებას, რაც გულისხმობს საერთო ბაზის შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდუალური ექსპერტების, პროფესიონალი ტრენერების, უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების საერთო ბაზაში მოქცევას. პროექტის პოლიტიკისა და პროცედურების სრული დაცვით.

მონაცემთა ბაზის შექმნის მთავარი მიზანია, რომ მოხდეს ადგილობრივ ექსპერტთა სრული იდენტიფიცირება, მონაცემების შეკრება და ერთიან მონაცემთა სისტემაში მოქცევა.

ძირითადი აქტივობები:

აქტივობები	დასაწყისი	დასასრული	ხანგრძლივობა
2.1 ინდივიდუალური ადგილობრივი ექსპერტების, ტრენინგის ინსტრუქტორების და სასოფლო-სამეურნეო პროგრამების მქონე საგანმანათლებლო-საკონსულტაციო დაწესებულებების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება და განახლება			
2.1.1 არსებული ექსპერტთა მონაცემთა ბაზის/ჩამონათვალის შეფასება, რომელსაც სააგენტო (ACDA) აქამდე იყენებდა	09.11.15	20.11.15	2 კვირა
2.1.2 სააგენტოს მიერ აქამდე გამოყენებული არსებული მონაცემთა ბაზის განვითარება/განახლებისთვის წინადადებების/ რეკომენდაციები შემუშავება	23.11.15	27.11.15	1 კვირა
2.1.3 ინდივიდუალური საინფორმაციო პროფილის ფორმების შემუშავება	23.11.15	15.12.15	3 კვირა
2.1.4 აპლიკანტების შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა მინიჭების პრინციპის შემუშავება სააგენტოსთან ერთად	23.11.15	15.12.15	3 კვირა
2.1.5 შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებზე შეთანხმება		15.12.15	1 დღე
2.1.6 ახალი მონაცემთა ბაზის ტესტირება, იმისთვის რომ დავრწმუნდეთ მის ეფექტურ მუშაობაში და რომ ეს მონაცემთა ბაზა პასუხობს კლიენტის მოთხოვნებს.		22.12.15	1 დღე
2.1.7 დაინტერესებული მხარეებისგან განაცხადების მიღების პროცესის აღწერა	16.12.15	15.01.15	4 კვირა
2.1.8 დაინტერესებული მხარეებისგან განაცხადების მიღების პროცესის განხილვა და შეთანხმება	18.01.15	22.01.15	1 კვირა
2.1.9 დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების სია	23.11.15	22.01.15	8 კვირა

წინასწარი და საბოლოო ანგარიში - კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს წინასწარი ანგარიში და მიღებული კომენტარების საფუძველზე შეიტანოს შესწორებები და წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში.

ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- ა) სამუშაოს მიმდინარეობის აღწერილობას
- ბ) ძირითადი მიმღებისა და დაინტერესებული მხარეების მიმოხილვას აღნიშნული დავალების მიზანსა და მიმართულებებს
- გ) გამოყენებული მეთოდოლოგიის აღწერას
- დ) კვლევის შედეგების ანალიზი

დანართები

დანართი 1

ექსპერტის სამუშაო აღწერილობა

დანართი 2

სამუშაო გეგმა

დანართი 3

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების სია

დანართი 4

არსებული ბაზის ანალიზი და მისი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

დანართი 5

ინდივიდუალური მონაცემების ფორმები

დანართი 6

შეფასების კრიტერიუმები და ქულათა მინიჭრების ცხრილი

დანართი 7

ინფორმაციული პროფილისა და შეფასების კრიტერიუმების შეთანხმება

დანართი 8

ბაზის ტესტირება, იმისთვის რომ დავრწმუნდეთ მის ეფექტურ მუშაობასა და კლიენტის მოთხოვნებთან თანხვედრაში

დანართი 9

კონცეფცია, სამუშაო გეგმა, მეთოდოლოგია, გზამკვლევები და აპლიკაციის ფორმის გავრცელებასთან დაკავშირებული აქტივობები

დანართი 10

წინასწარი ბიუჯეტი და საჭირო რესურსები 2.1, 2.2. და 2.3 აქტივობების განსახორციელებლად

დანართი 11

ინტერესის გამოხატველი აპლიკაციების მიღების შედეგების შეფასების კვარტარული ანგარიშის ფორმა

დანართი 12

ექვსი თვის შემაფასებელი საინფორმაციო ბიულეტენის ფორმა

ექსპერტმა უნდა წარმოადგინოს მონაცემები სათანადო გამოცდილების შესახებ გარკვეულ სფეროში, რაც უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში მასზე დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ და პროფესიულად შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

- უმაღლესი განათლება მისი პოზიციის შესაბამის სფეროში;
- მინიმუმ 15 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- საქართველოში სოფლის მეურნეობის და/ან აგრობიზნესის მდგომარეობის ცოდნა;
- გამოცდილება ინსტიტუციურ გაძლიერებასა და შეფასებაში, სასურველია აღმოსავლეთ ევროპაში;
- გამოცდილება პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- წერილობითი და ზეპირი ინგლისური და ქართული ენების ღრმა ცოდნა;
- კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები;
- სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო გამოცდილების დადასტურება
- აუცილებელია საოფისე პროგრამების ცოდნა (Word, Excel, PPP);
- უნდა შეეძლოს 3 თვის განმავლობაში (2015 წლის ნოემბრიდან - 2016 წლის იანვრამდე) საქართველოში მოგზაურობა.

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

განმცხადებელმა უნდა გამოაგზავნოს დეტალური პირადი მონაცემები (CV) ინგლისურ ენაზე განათლების და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებთან ერთად. განაცხადი გამოგზავნილი უნდა იქნეს ელ-ფოსტით შემდეგ მისამართებზე:


EVOLUXER

sergiov@evoluxer.com
mschuessel@evoluxer.com

განაცხადი შეფასდება პირადი მონაცემების (CV) საფუძველზე.

პროექტი ახორციელებს არადისკრიმინაციულ პოლიტიკას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური წარმოშობის და სქესის ადამიანებისთვის.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 15 ოქტომბრის 16 საათამდე.



პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ ENPARD პროგრამის ფარგლებში.

დანართი 2

განცხადება ვაკანსიის შესახებ

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარება

პროექტის მიზნები და ამოცანები

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა“ (ENPARD), რომელიც დაიწყო 2013 წელს და რომლის ხანგრძლივობაც 4 წელია, მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდასა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირებას. აღნიშნულის მისაღწევად პროექტი მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დახმარებას, ფერმერთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ პროცესში ქალთა აქტიურ მონაწილეობასა და ლიდერობას.

ევროკომისიის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პოტენციალის განვითარების“ პროექტის ძირითადი მიზნებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური პოტენციალის და პერსონალის უნარების გაძლიერება, რეგისტრირებული კოოპერატივების მენეჯერებისა და ხელმძღვანელებისთვის ტრენინგის მუდმივი პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია, რეგისტრირებულ კოოპერატივებში მენეჯმენტის პოტენციალის გაძლიერება და სათანადო მმართველობის უზრუნველყოფა, კოოპერატივების წევრებს შორის კოოპერატიული საწარმოს არსისა და მიზნების გაგების გაუმჯობესება. პროექტის საქმიანობა მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

აღნიშნული პროექტი აცხადებს დაინტერესებული და კვალიფიციური კანდიდატების განაცხადების მიღებას, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარებაში.

შერჩეული ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური კონსულტანტების მონაცემები შეტანილი იქნება პოტენციურ ტრენინგ პროვაიდერების მონაცემთა ბაზაში, რათა შემდომში წარმატებულმა აპლიკანტებმა მონაწილეობა მიიღონ ტრენინგების ჩასატარებლად გამოცხადებულ ტენდერებში.

ტრენინგების ძირითადი სფეროები:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მართვა
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლის საფუძვლები
4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის მართვის საფუძვლები
5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარკეტინგი/ბრენდირება

შერჩეული ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ ტრენერებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში და სასწავლო პროგრამის განმავლობაში წარმატებული მონაწილეები, შეირჩევიან კოოპერატივებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად.

სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა არ გულისხმობს იმას, რომ ყველა მონაწილე ავტომატურად ჩაერთვება კოოპერატივების სასწავლო პროგრამაში.

მიღებული აპლიკაციის ფორმები (იხილეთ თანდართული ფაილი) განიხილება, შეფასდება და შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- მონაწილის პროფესიული ცოდნა
- შესაბამისი გამოცდილება (აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მსგავს პროექტებში/ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ)
- კოოპერატივების ძირითადი პრინციპებისა და კოოპერაციის თეორიის ცოდნა
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

განმცხადებელმა უნდა გამოაგზავნოს კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინდივიდუალური კონსულტანტის შემთხვევაში - დეტალური პირადი მონაცემები (CV), განათლების და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის საქმიანობების აღწერილობასა და მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებას.

გთხოვთ, განაცხადი გამოაგზავნოთ ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე:

სახელი

მისამართი

გთხოვთ წერილის სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

პროექტი ახორციელებს არადისკრიმინაციულ პოლიტიკას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური წარმოშობისა და სქესის ადამიანებისთვის.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **XXX**



პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ, ENPARD პროგრამის ფარგლებში.

დანართი 3

აპლიკაციის ფორმა ინდივიდუალური კონსულტანტისთვის

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროექტი“-ს ფარგლებში გამოცხადებული ტრენერების სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

გთხოვთ, შეავსოთ აპლიკაციის ფორმა ელექტრონულად და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე XXXX არა უგვიანეს XX XXXX 2016 წლისა.

სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
ელ-ფოსტა	
მობილური	
სამუშაო პოზიცია	
ინდ.კონსულტანტი : სამუშაო გამოცდილება და თქვენი საქმიანობის ძირითადი სფერო(ები)	

გთხოვთ, აღწეროთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თქვენი მუშაობის გამოცდილება.

გთხოვთ, აღწეროთ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება, მიუთითეთ თქვენი როლი, ვისთვის ტარდებოდა ტრენინგი და ტრენინგების თემატიკა.

გთხოვთ, აღწეროთ ტრენერების სასწავლო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება.

გთხოვთ, აღწეროთ სატრენინგო კურსის, გეგმისა და მასალების მომზადების გამოცდილება.

ინგლისური ენა : 1 - დან 5-მდე. (1- საბაზისო; 5 - სრულყოფილად)

კითხვა	წერა	საუბარი
--------	------	---------

დანართი 4

აპლიკაციის ფორმა ორგანიზაციისთვის

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროექტი“-ს ფარგლებში გამოცხადებულ ტრენერების სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

გთხოვთ, შეავსოთ აპლიკაციის ფორმა ელექტრონულად და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე XXXX არა უგვიანეს XX XXXX 2016 წლისა.

ორგანიზაცია	
საკონტაქტო პირი	
პოზიცია	
ოფისის ტელეფონი	
მობილური	
ორგანიზაციის ვებ-გვერდი	
ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფერო(ები)	

გთხოვთ, აღწეროთ ორგანიზაციის სამუშაო გამოცდილება

გთხოვთ, აღწეროთ ორგანიზაციისა და თქვენი ექსპერტების ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება, ვისთვის ტარდებოდა ტრენინგი და ტრენინგების თემატიკა.

გთხოვთ, აღწეროთ ტრენერების სასწავლო პროგრამებში/ტრენინგებში ორგანიზაციის მონაწილეობის გამოცდილება

გთხოვთ, აღწეროთ სატრენინგო კურსის, გეგმისა და მასალების მომზადების გამოცდილება.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ექსპერტთა სია და ინფორმაცია ქვემოთ მოცემული მოთხოვნების შესაბამისად ტრენინგებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
ელ-ფოსტა	
მობილური	
სამუშაო პოზიცია	

შესაბამისი სამუშაო გამოცდილება

გთხოვთ, აღწეროთ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება, ვისთვის ტარდებოდა ტრენინგი და ტრენინგების თემატიკა.

გთხოვთ, აღწეროთ ტრენინგების სასწავლო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება

გთხოვთ, აღწეროთ სატრენინგო მასალების მომზადების გამოცდილება.

ინგლისური ენა : 1 - დან 5-მდე. (1- საბაზისო; 5 - სრულყოფილად)

კითხვა

წერა

საუბარი

დანართი 5

შეფასების ფორმა ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარება

მოთხოვნები	სახელი, გვარი						სახელი, გვარი						სახელი, გვარი					
	მაქს					ჯამი	მაქს					ჯამი	მაქს					ჯამი
პანელის შეფასება	40					0.00	40					0.00	40					0.00
შესაბამისი გამოცდილება	40					0.00	40					0.00	40					0.00
მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება	10					0.00	10					0.00	10					0.00
შესაბამისი განათლება	10					0.00	10					0.00	10					0.00
სასოფლო-სამეურნეო სექტორის ცოდნა	10					0.00	10					0.00	10					0.00
სულ	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

ხელმოწერა

თარიღი

- 1
- 2
- 3

დანართი 6

შეფასების ფორმა ორგანიზაციებისთვის - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ტრენინგების ჩატარება

მოთხოვნები	ორგანიზაციის დასახელება						ორგანიზაციის დასახელება						ორგანიზაციის დასახელება					
	მაქს					ჯამი	მაქს					ჯამი	მაქს					ჯამი
პანელის შეფასება	25					0.00	25					0.00	25					0.00
ორგანიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები	25					0.00	25					0.00	25					0.00
გუნდის შემადგენლობა	25					0.00	25					0.00	25					0.00
შესაბამისი გამოცდილება	25					0.00	25					0.00	25					0.00
მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება	25					0.00	25					0.00	25					0.00
სულ	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	100	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

ხელმოწერა

თარიღი

- 1
- 2
- 3

დანართი 7

შეხვედრების სია

აღნიშნული დავალების ფაგლებში, ჩატარდა შემდეგი შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, უნივერსიტეტები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საკონსულტაციო კომპანიები და ინდივიდუალური ექსპერტები.

თარიღი	ადგილი	სახელი და გვარი	შეხვედრის ფორმა	დოკუმენტაცია (ინგლისურად)	დოკუმენტაცია (ქართულად)
10/11/15 19/11/15	თბილისი	გიორგი მიშელაძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე	ინტერვიუ	N/A	N/A
21/12/15 24/12/15 28/12/15	თბილისი	კონსტანტინე ხუცაძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე	ინტერვიუ	N/A	N/A
19/11/15 21/12/15 28/12/15	თბილისი	ვაჟა ქადაგიძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარე	ინტერვიუ	N/A	N/A
10/11/15 19/11/15 24/12/15	თბილისი	ვასილ ბიბილური - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	ინტერვიუ	N/A	N/A
27/11/15	თბილისი	მარინე დოსმიშვილი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კადრების მართვის სპეციალისტი	ინტერვიუ	N/A	N/A
27/11/15	თბილისი	ელენე წერეთელი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მთავარი ბუღალტერი	ინტერვიუ	N/A	N/A
12/01/16	თბილისი	შალვა კერესელიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი	ინტერვიუ	N/A	N/A
12/01/16	თბილისი	მარიკა გელაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ინტერვიუ	N/A	N/A
13/01/16	თბილისი	ზვიად ჭიეშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი	ინტერვიუ	N/A	N/A
13/01/16	თბილისი	თეა ურუშაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	ინტერვიუ	N/A	N/A
13/01/16	თბილისი	ნანა ქაშაკაშვილი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის	ინტერვიუ	N/A	N/A

		განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარე			
20/01/16	თბილისი	ლევან დადიანი ოქსფამი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის პოლიტიკის პროგრამის მენეჯერი	ინტერვიუ	N/A	N/A
21/01/16	თბილისი	ირაკლი კასრაშვილი მერსი ქორი საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი	ინტერვიუ	N/A	N/A
21/01/16	თბილისი	გიორგი ღლონტი ქეა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი	ინტერვიუ	N/A	N/A
22/01/16	თბილისი	ლუიზა ნამიჩეიშვილი CNFA - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი	ინტერვიუ	N/A	N/A
22/01/16	თბილისი	ლაშა დოლიძე ინდივიდუალური კონსულტანტი	ინტერვიუ	N/A	N/A
22/01/16	თბილისი	რატი შავგულიძე ინდივიდუალური კონსულტანტი	ინტერვიუ	N/A	N/A

დანართი 8

აპლიკანტის მონაცემები

სახელი	
ორგანიზაციული ფორმა	
	ინდივიდუალური კონსულტანტი
	ორგანიზაცია
საკონტაქტო პირი	
საკონტაქტო ინფორმაცია	
	ელ-ფოსტა
	ტელეფონი
	მობილური
რეგიონი	
გამოცდილების სფეროები	
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსები
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლის საფუძვლები
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის მართვის საფუძვლები
	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარკეტინგი/ბრენდირება

დანართი 9

2.1, 2.2, 2.3 საქმიანობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები			
აქტივობა	მომუშავე პერსონალი	დღეების რაოდენობა	სულ
ინდივიდუალური ადგილობრივი ექსპერტების, ტრენინგის ინსტრუქტორების და სასოფლო-სამეურნეო პროგრამების მქონე საგანმანათლებლო-საკონსულტაციო დაწესებულებების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება და განახლება			
ბაზის დახვეწა	1	5	5
მონაცემების განახლება	1	6	6
ინდივიდუალური კონსულტანტებისა და ორგანიზაციების აპლიკაციების შეფასება			
აპლიკაციების მიღების გამოცხადების საბოლოო ვერსიის შემუშავება	1	3	3
აპლიკაციების მიღების გამოცხადება	1	2	2
აპლიკაციების შეფასება	3	6	18
კვარტარული და ექვსი თვის შემაფასებელი საინფორმაციო ბიულეტენის ფორმა			
კვარტალური ანგარიშების მომზადება და წარდგენა	1	4	4
ექვსი თვის შემაფასებელი საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება და წარდგენა	1	4	4
სულ			42

დანართი 10

ინტერესის გამომხატველი აპლიკაციების შედეგების შეფასების კვარტალური ანგარიშის ფორმა

ანგარიშის ნომერი

თარიღი:

მიღებული აპლიკაციების რაოდენობა

დამტკიცებული აპლიკაციების რაოდენობა

შერჩეული აპლიკანტები	კომისიის ქულები			
	წევრი 1	წევრი 2	წევრი 3	სულ
სახელი				0
				0
				0
				0
				0

ექვსი თვის შემაფასებელი საინფორმაციო ბიულეტენის ფორმა

ანგარიშის წარდგენის პერიოდი

თარიღი:

ჩატარებული რაუნდების რაოდენობა

N რაუნდში მიღებული აპლიკაციების რაოდენობა

N რაუნდში მიღებული აპლიკაციების რაოდენობა

N რაუნდში შერჩეული აპლიკაციების რაოდენობა

N რაუნდში შერჩეული აპლიკაციების რაოდენობა

შერჩეული კანდიდატების სია

დანართი 11